



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე

წევრები:

თამარ ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე მიქაუტაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ირაკლი ტაბატაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

სალომე ცხვედიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225389399

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბოლნისი
ფაქტობრივი მისამართი	ბოლნისი დაბა თამარისი
საფოსტო ინდექსი	1100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tamarisi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	596016060

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 1 მაისის #467811 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29-30 მაისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ბოლნისი დაბა თამარისი (ერთი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ბოლნისი დაბა თამარისი (ერთი)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ბოლნისი დაბა თამარისი (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 29 და 30 მაისს სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე კანონით დადგენილ ვადებში. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტს ესწრებოდა ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს, ბუღალტერს, სპეციალურ მასწავლებლებს, სსსმ პირის ასისტენტს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. მასწავლებლებთან ვიზიტის მე-2 დღეს ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა, რასაც ესწრებოდა ყველა საგნობრივი ექსპერტი. ონლაინ შეხვედრაზე ექსპერტებმა შეაჯამეს წინა დღეს არსებული მიგნებები, დააზუსტეს დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. სკოლამ გამოგზავნა დამატებითი დოკუმენტაცია ვიზიტის დღეებში, თუმცა გამოგზავნილი დოკუმენტაციის ერთ ნაწილს შეექმნა ტექნიკური პრობლემა (ვერ მოხერხდა დოკუმენტების გახსნა).

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმდებლობით. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500 (ხუთასი)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი აქტივობა და უზრუნველყოს სკოლის ექიმის შტატზე სათანადო კვალიფიკაციის პირის შერჩევა დათქმულ ვადებში 10.04.2025წ. 15.09.2026წ. ასევე უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა მოძიება კანონმდებლობით დადგენილი წესით დათქმულ ვადებში 10.04.2025წ. 15.09.2026წ.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა დათქმულ ვადაში 26.04.2026წ.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებისათვის ლიფტის/შიდა პანდუსის მოწყობა 24.06.2027 წლამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ მასწავლებელს (მოწვეული მასწავლებლის სტატუსი) არა აქვს არც კომპეტენცია და არც პრაქტიკული გამოცდილება ბუნებისმეტყველების სწავლებაში. სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის მასწავლებლი/ები შერჩევა მასწავლებლისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად - შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 10.04.2025წ. – 15.09.2026წ..
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი - სპორტის მასწავლებელი შეარჩიოს დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად - შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 10.04.2025წ. – 15.09.2026წ..
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნველყოს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა , მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 26.04.2025წ. – 26.04.2026წ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით არ დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია მინიმალური ლაბორატორიული რესურსი. სკოლა სრულად აცნობიერებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აუცილებლობას თვითშეფასების საფუძველზე, სადაც აღნიშნავს რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს სრულყოფილად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სადაც იქნება ცალკე საპრეპარატო (ლაბორატორიული ჭურჭლისა და რეაქტივების შესანახი კარადით, სეიფით და გამწოვი კარადით).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნველყოს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა , მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 26.04.2025წ. – 26.04.2026წ. .

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
---------------------	-------------------------	--------------



ინდიკატორი NI.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	მიზანშეწონილია სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვისა და უკუკავშირების მისაღებად სკოლამ გამონახოს ისეთი ფორმა, რომელიც გაითვალისწინებს წერილობითი სახის კომუნიკაციას სკოლასა და მშობლებს შორის, რათა სკოლის გეგმებში უფრო მეტი სიცხადით აისახოს სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებები.
ინდიკატორი NI.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლის კონტიგენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს სპეციალური ფორმატი და დაგეგმოს კონკრეტული ქმედითი აქტივობები, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება, რათა უფრო ეფექტურად იმუშავოს მოსწავლეებთან და მშობლებთან სკოლის ფილოსოფიის გაცნობიერების მიზნით.
ინდიკატორი NI.2.1.2,	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	მიზანშეწონილია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განახორციელოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული აქტივობების მიხედვით. კერძოდ, გააუმჯობესოს მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მექანიზმი და ფორმატი (მაგ: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი/გაცდენების მაჩვენებლები/სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი და ა.შ.) კერძოდ, შეიმუშავოს შესაბამისი სპეციალური ფორმები, რათა უფრო რელევანტური იყოს სკოლის SWOT ანალიზი. ასევე მიზანშეწონილია სტრატეგიული გეგმა ზუსტად დაემყაროს SWOT ანალიზს და სტრატეგიული მიზნები პირდაპირ გამომდინარეობდეს ანალიზში ასახული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებიდან. ასევე დააზუსტოს და წინასწარ გაწეროს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის საშუალებები/მექანიზმები, ანგარიშის ფორმები და



		პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული გეგმა დათარიღებულია 2024-2031 წლებით და 7 წლიან პერიოდზეა გათვლილი, თუმცა მიზანშეწონილია სკოლამ ერთდროულად/ერთი თარიღით განახორციელოს სტრატეგიული გეგმის ამოქმედება და მისი დამტკიცება.
ინდიკატორი NI.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	მიზანშეწონილია სკოლის ყოველწლიური თვითშეფასება განხორციელდეს წინასწარ ჩამოყალიბებული წერილობითი ფორმით, რათა სკოლას ჰქონდეს წერილობითი სახის მასალა/მტკიცებულებები განხორციელებული თვითშეფასებისა და მისი შემადგენელი კომპონენტებისა და ჩართული მხარეების/პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების შესახებ.
ინდიკატორი NI.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმაში სკოლამ ამოცანების შესაბამის აქტივობები უფრო ზუსტად მოარგოს სკოლის კონტექსტს, მისიას და სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე დაზუსტებულად ასახოს არსებული საჭიროებები და შესაბამისი ღონისძიებები. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს რა აქტივობებს გეგმავს სკოლა აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სკოლის მისიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული პრიორიტეტების განსახორციელებლად, როგორ შუწყობს ხელს არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაციას ქართულ გარემოში, სკოლის თითოეულ მოსწავლეში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, რა აქტივობებს გეგმავს SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში მითითებული პრობლემების აღმოსაფხვრელად: მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების ნაკლებობა,



		არაქართულენოვანი მოსწავლეების სიმრავლით გამოწვეული ენობრივი ბარიერი. ასევე კონკრეტულად რას გეგმავს სკოლის ხედვაში მითითებული არაფორმალური გარემოს ჩამოყალიბებისათვის.
ინდიკატორი NI.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლას მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მხოლოდ გეგმის მონიტორინგის შეფასების მექანიზმები. მიზანშეწონილია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული გეგმის შეფასების მექანიზმები, როგორც ეს აქვს გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგთან მიმართებაში, რადგან მონიტორინგი და შეფასება 2 განსხვავებული, თუმცა ურთიერთდაკავშირებული პროცესია. კერძოდ, რა მექანიზმებით აპირებს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლის სტრუქტურაში დირექციის შემადგენლობაში დაფიქსირებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი და არაკოლეგიალური ორგანოები. მიზანშეწონილია სკოლამ დააზუსტოს რას გულისხმობს არაკოლეგიალურ ორგანოებში ან სტრუქტურა შეუსაბამოს სკოლის რეალურ მდგომარეობას.
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და	მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს მასწავლებელთა საჭიროებები დადგენის მექანიზმი დოკუმენტური სახით, რომლის საფუძველზეც გახორციელდება ინტერვენცია - მხარდამჭერი ღონისძიებები.



	ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	მიზანშეწონილია სკოლამ განსხვავებული სახის ხელშეკრულებები გააფორმოს სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლებთან და კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სასკოლო ვალდებულებები.
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა), ასევე მიზანშეწონილია სკოლამ მოაწესრიგოს ფეისბუკ-გვერდი, რათა უფრო ეფექტურად გამოიყენოს სოციალური გვერდი და მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა წარმატებული გამოცდილების აღიარებისათვის. მიზანშეწონილია სკოლამ შექმნას კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მექანიზმები, რომელსაც გამოიყენებს შესაბამისი უკუკავშირების მისაღებად.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	მიზანშეწონილია სკოლამ უფრო დაზუსტებულად ასახოს დოკუმენტაციაში, მათ შორის სამოქმედო გეგმაში პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. დააკონკრეტოს დაგეგმილი აქტივობების შინაარსი, კრიტიკული შემთხვევების შეფასებისა და სამუშაო/სასწავლო პროცესზე დაკვირვების კონკრეტული მექანიზმები. მიზანშეწონილია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების



		საჭიროებების დადგენის კონკრეტული მექანიზმები და ისინი გაწერილი იყოს წერილობით წინასწარ განსაზღვრული ფორმით, სადაც აღწერილი იქნება ხარისხის მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმები იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის.
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	მიზანშეწონილია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის სხვადასხვა საქმიანობებში თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და განხორციელება ხარისხის შიდა მექანიზმების შემუშავება არა მარტო სასწავლო პროცესის, არამედ სხვადასხვა მიმართულებებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას დემინგის ციკლის სრულყოფილი მოქმედება (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება). მიზანშეწონილია აღნიშნული პროცესის უწყვეტად მიმდინარეობა უზრუნველსაყოფად ყოველი სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს წინა წლის მიღწევებს და გამოწვევებს მაგალითად, საგაკვეთილო დაკვირვების ფორმატში სასურველი მოხდეს დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების დასახვა, შემდეგ ინტერვენცია, უკუკავშირების მექანიზმების შემუშავება საგაკვეთილო დაკვირვების ხელახალი განხორციელება (როგორც მოახდინეს რეაგირება) და განახლებული მიზნების დასახვა.
ინდიკატორი N3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოებრივი	მიზანშეწონილია სკოლამ გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღების მექანიზმები, მაგალითად გამოიყენოს მოქმედი სკოლის ფეისბუქ-



	ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	გვერდი და აღჭურვის ის დამატებითი ტექნიკური შესაძლებლობებით, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,	მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს გასახდელის მოწყობა ვაჟებისა და გოგონებისათვის სპორტული დარბაზის ტერიტორიაზე
ინდიკატორი N3.71.2.	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	მიზანშეწონილია ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდულად სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	მიზანშეწონილია სკოლამ სამოქმედო გეგმაში ან/და საგნობრივი კათედრების დოკუმენტაციაში უფრო დაზუსტებულად ასახოს ის კონკრეტული აქტივობები, რაც გამოიყენება რემედიაციის პროცესში (მაგ. რომელ საგნებში ახორციელებს, როგორ მუშაობს ენობრივი ბარიერის დაძლევაზე გეგმავს თუ არა რაიმე სახის კვლევას სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეების გამოსავლენად და სხვა). ასევე სასურველია შეაგროვოს რემედიაციის პროცესის ამსახველი



		სათანადო მასალები გააანალიზებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით.
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა გამოკითხვის ან/და მონაცემების შეგროვების წერილობითი ფორმები მოსწავლეთა საჭიროების, კმაყოფილების, კურსდამთავრებულების მიღწევების და სხვა თემების შესახებ. ასევე სასურველია მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის გააქტიურება და მათი წარმართვა არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში იმ მოსწავლეების ჩართულობის გასაზრდელად, რომლებიც გამოირჩევიან ქართული ენის თავისუფლად ფლობითა და მაღალი მოტივაციით.
ინდიკატორი #4.2.4.2.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;	სასურველია სკოლაში მოქმედი სპორტული წრე მოექცეს მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში და მის შესახებ სათანადო მონაცემები (წრის სასწავლო მიზნები, სამიზნე ჯგუფები და სხვა) აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში ან/და სხვა დოკუმენტაციაში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ტექნოლოგიები: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მოცემული ყველა შუალედური მიზნისათვის განისაზღვროს ნაბიჯები და აქტივობები სასწავლო პროცესის განმავლობაში.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:



ინდიკატორი 2.1.2.2	მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის ფარგლებში კლასის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული შუალედური მიზნები და შემოქმედებითი პროდუქტი ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: <i>სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსი ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.</i>
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები კონკრეტული დავალების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: <i>სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.</i>



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა საჭიროებს კორექტირებას.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს განაცხადეს რომ იყენებენ დიფერენცირებას, დიფერენცირებისთვის გამოიყენეს სადიაგნოსტიკო ტესტირება, მაგრამ სათანადო მასალა არ წარმოდგენილია, სასურველია მასალები აისახოს დოკუმენტებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა: ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის ძირითადი ამოცანაა მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკა. ამ მიზნით, სასურველია, გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ტესტები და გააკეთონ შედეგების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანონ ცვლილებები სწავლა-სწავლების პროცესში, გამოიყენონ სარემედიაციო პროგრამა.
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია, სკოლამ მეტი იმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზი განახლება/გაუმჯობესებაზე. (დარბაზი, გასახდელები, სტადიონი, სხვადასხვა სახის სპორტული აღჭურვილობა)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	სახელმწიფო ენა: მიზანშეწონილია შეფასების მექანიზმი უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა შეიმუშაონ ეროვნული სასწავლო გეგმისა და დაწყებითი საფეხურის სტანდარტის მიხედვით განმსაზღვრელი (მე-5-მე-6 კლასებში) და აგრეთვე I-IV და V კლასებში განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რუბრიკები, რომელიც კონკრეტულად გადმოსცემს: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ფასდება საშინაო, საკლასო სამუშაო, ლექსიკური ერთეულების შესწავლა, წერითი ნამუშევარი იქნება ეს თუ გაწაფული კითხვა ან ტექსტის გაგება-გააზრება, შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევი შედეგებიდან.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა მოიცვანონ შესაბამისობაში მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: მიზანშეწონილია საბაზო საფეხურის მაოწავლებელთან სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირების მასალებს ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია. სასურველია, რომ კურიკულუმის დაგეგმვის და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას



		მოსწავლეთა მზაობა და ინტერესები, შესაბამისად აისახოს დოკუმენტურად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა: <i>მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული ხასიათის, სასურველია მათი გადამუშავება და შესაბამისობა კონკრეტულ თემებთან.</i>
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია, სკოლამ მეტი იმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზი განახლება/გაუმჯობესებაზე (დარბაზი, გასახდელები, სტადიონი, სხვადასხვა სახის სპორტული აღჭურვილობა)</i>
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია საგანს ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომელთაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია.</i>
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.</i>
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური.	სახელმწიფო ენა: <i>სასურველია შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე არაქართულენოვანი მოსწავლეების სპეციფიკის გათვალისწინება.</i> <i>სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა შეიმუშაონ ეროვნული სასწავლო გეგმისა და</i>



		საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი მექანიზმები, რუბრიკები, რომელიც კონკრეტულად გადმოსცემს: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ფასდება შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო სამუშაო, წერიტი იქნება ეს თუ ზეპირი გადმოცემა (პრეზენტაცია), მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები პირდაპირ გამომდინარეობდეს საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებიდან.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია , საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის ფარგლებში კლასის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული შუალედური მიზნები და შემოქმედებითი პროდუქტი ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია , საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის ფარგლებში სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოს გვერდების მითითებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია , საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა



ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, 2024 წელის 9 სექტემბერის პედაგოგიური საბჭოს სხდომის N 5 ოქმით დამტკიცებულ კათედრის დებულებაში კათედრების რაოდენობა და დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს არსებულთან. კერძოდ, დებულებაში „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა“ ცალკეა, როცა პედაგოგიური საბჭოს ოქმში და კათედრის ოქმებით დასტურდება „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის“ არსებობა.
ინდიკატორი 2.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები კონკრეტული დავალების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე არსებული პრაქტიკით შემაჯამებელი დავალებების დიაგნოსტიკა გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკისთვის. სასურველია, შემაჯამებელი დავალება განმსაზღვრელი შეფასებით მიეცეთ ცალკე ხოლო დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი.



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: <i>სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.</i>
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკა: საშუალო საფეხურის კურიკულუმი დატვირთულია კომპლექსური ტიპის დავალებებით, სასურველია შეამცირონ ამ ტიპის დავალებების რაოდენობა და მოიყვანონ შესაბამისობაში მოსწავლეთა მზაობასთან (გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერიც)
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა კათედრის მიერ გადმოგზავნილ მასალაში არ მოიძებნა შესაბამისი დოკუმენტაცია. სასურველია, რომ კურიკულუმის დაგეგმვის და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას ყველა მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში და შესაბამისი მასალები აისახოს დოკუმენტებში. დიფერენცირებისთვის იყენებენ სადიაგნოსტიკო ტესტირებას, თუმცა დიაგნოსტიკისთვის შერჩეული ტესტი არ შეესაბამება სადიაგნოსტიკო ტესტის ფორმატს, სასურველია გაითვალისწინონ მომავალში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა: <i>მიზანშეწონილია წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და არა ზოგადი, სასურველია რუბრიკების გადამუშავება და შესაბამისობაში მოყვანა კონკრეტულ თემებთან.</i>
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა: სასურველია X კლასის კურიკულუმში სამიზნე ცენტრების შესაბამისი ქვეცენტრები სრულად ფარავდეს თემას/საკითხს.



ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია, სკოლამ მეტი იმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზი განახლება/გაუმჯობესებაზე. (დარბაზი, გასახდელები, სტადიონი, სხვადასხვა სახის სპორტული აღჭურვილობა)</i>
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია საგანს ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომელთაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია.</i>
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: <i>სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.</i>
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური.	სახელმწიფო ენა: <i>სასურველია შეფასების მექანიზმი ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და ასევე ითვალისწინებდეს არაქართულენოვანი მოსწავლეების სპეციფიკას.</i> <i>სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა შეიმუშაონ ეროვნული სასწავლო გეგმისა და საშუალო საფეხურის სტანდარტის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კონკრეტული მექანიზმები, რუბრიკები, რომელიც კონკრეტულად გადმოსცემს: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ფასდება შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო სამუშაო, წერიტი იქნება ეს თუ ზეპირი გადმოცემა (პრეზენტაცია), შეფასების რუბრიკები უნდა</i>



		გამომდინარეობდეს საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით.
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სკოლისათვის მისაღებია პროექტში ასახული რჩევები, რომელთაც გაითვალისწინებს სასწავლო პროცესში მომდევნო სასწავლო წლიდან, ხოლო მიღებული რეკომენდაციების შესრულებას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში საკუთარი სახსრებით და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში



1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა 2024 წლის 9 სექტემბერს, რომელიც დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ სხდომის ოქმი N5 და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **სკოლის მისიაა:** „უსაფრთხო, კომფორტულ/მიმზიდველ სასწავლო გარემოში, პატრიოტი და კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდა, რომლებსაც ჩვენი მამულის წარსულის გათვალისწინებით, დღევანდელ გლობალურ სამყაროში გააზრებული ექნებათ საქართველოს როლი და ადგილი. ჩვენი პრიორიტეტია ხელი შევუწყოთ არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაციას ქართულ გარემოში, სკოლის თითოეულ მოსწავლეს ჩამოვუყალიბოთ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება.“

სკოლის ხედვა ემყარება მოლოდინს, რომ 7 წელიწადში სკოლა იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინფრასტრუქტურით და პროფესიულად განვითარებული ადამიანური რესურსით აღჭურვილი, რის გამოყენების შედეგად, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის სრულად შესრულება.

სასკოლო საზოგადოების ღირებულებებია: გუნდური მუშაობა, სიახლეების მიმდებლობა, ინკლუზიური განათლება. სკოლას სასწავლო გეგმაში ჩაშლილი აქვს თითოეული ღირებულების შინაარსი და მნიშვნელობა.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;



სკოლის ფილოსოფიაში გამოკვეთილია სკოლის მიზანი - ხელი შეუწყოს აქტიური მოქალაქის ფორმირებას, რომელსაც გააზრებული ექნება საქართველოს როლი და ადგილი გლობალურ სამყაროში. სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით სკოლა ცდილობს გააძლიეროს ისეთი მიმართულება, როგორიცაა მოსწავლეებში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაცია ქართულ გარემოში.

სკოლის ხედვა ემყარება მოლოდინს, რომლის თანახმადაც არაფორმალური განათლების განვითარება ხელს შეუწყობს არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაციას. აღნიშნული ძალზე მინიშნელოვანია სკოლის კონტექსტის გათვალისწინებით - სკოლის მოსწავლეთა 90% აზერბაიჯანული ეთნოსის წარმომადგენელია.

სკოლა ზრუნავს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე - ჰყავს მანდატურები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შერჩეულია სსსმ მოსწავლის ასისტენტი. აქვს სკოლის მასწავლებლებთან შეთანხმებული მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ა.წ. მარტის თვიდან სკოლამ დაიწყო მზადება ავტორიზაციისათვის და გაიარა სათანადო კონსულტაციები შესაბამის ორგანოებთან. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით დირექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი.

ჯგუფს დაევალა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება. კომისიის შემადგენლობაში შევიდა 6 წევრი, მათ შორის სკოლის დირექტორი, პედაგოგი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის შეხვედრების ოქმები. სკოლამ დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N2-44 ბრძანებით „სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ დაამტკიცა ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლამ განახორციელა სკოლის ფილოსოფიის რევიზია (მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული იყო 2024-2025 ს/წ დასაწყისში) და მიღებული მეთოდოლოგიის მიხედვით გაიარა შესაბამისი პროცედურები: განახორციელა სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვა და ამის საფუძველზე შეადგინა სკოლის

SWOT ანალიზი, გაითვალისწინა უკუკავშირები და შეიმუშავა სკოლის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და აღნიშნული პროცესების შედეგად სკოლის ფილოსოფია შესაბამისობაში მოიყვანა სტრატეგიულ მიზნებთან.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვები სკოლის მისიასა და ხედვასთან დაკავშირებით ჩატარდა მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე საფეხურების მიხედვით უმეტესად ზეპირი კომუნიკაციის სახით, ცალკეულ შემთხვევაში წერილობითი სახით. ასევე სკოლის განმარტებით, უკუკავშირების მიღება მოხდა ზეპირი კომუნიკაციის ფორმით იმის გათვალისწინებით, რომ მშობელთა კონტიგენტის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანულენოვანია. კომუნიკაციაში ჩართული იყვნენ ე.წ. მედიატორი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ აზერბაიჯანულ ენას. სკოლამ წარმოადგინა „სკოლის ფილოსოფიის გადახედვისა და სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, რომელიც თარიღდება 2025 წლის 26 მარტით.

ინდიკატორი შესაბამისაა.

რჩევა: მიზანშეწონილია სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვისა და უკუკავშირების მისაღებად სკოლამ გამონახოს ისეთი ფორმა, რომელიც გაითვალისწინებს წერილობითი სახის კომუნიკაციას სკოლასა და მშობლებს შორის, რათა სკოლის გეგმებში უფრო მეტი სიცხადით აისახოს სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებები.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. სამუშაო ჯგუფის #2 15.04.2025წ. ოქმის მიხედვით, მოხდა სკოლის ფილოსოფიის გადახედვა-შემუშავება და მიღება არსებულის სახით და დასამტკიცებლად გადაეცა პედსაბჭოს. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებთან სკოლის ფილოსოფიის პროექტის გაცნობის ოქმი #1 – 02.04.2025წ. ასევე თვითმმართველობის მოსწავლეებთან სკოლის ფილოსოფიის პროექტების გაცნობის ოქმი #2 02.04.2025წ. შეხვედრას ესწრებოდა თვითმმართველობის არჩეული მოსწავლეები მე-7-11 კლასებიდან. ასევე მე-9 კლასის დამრიგებლის ანგარიში 02.04.2025წ. სკოლის დირექტორის სახელზე - ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობა მშობლებისათვის.

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში, ასევე გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე - ცენტრალურ ფოიეში და მე-2 სართულის დერეფანშიც. მისია და ხედვა ასახულია ა.წ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში. დოკუმენტს დამრიგებლები აზიარებენ კლასების მიხედვით შექმნილ სოციალურ ჯგუფებში და აცნობენ მშობელთა კრებებზე. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების რამდენიმე ოქმი, სადაც დღის წესრიგში მითითებულია - სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა მშობლებისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: სკოლის კონტიგენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს სპეციალური ფორმატი და დაგეგმოს კონკრეტული ქმედითი აქტივობები, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება, რათა უფრო ეფექტურად იმუშავოს მოსწავლეებთან და მშობლებთან სკოლის ფილოსოფიის გაცნობიერების მიზნით.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე სკოლის ცენტრალურ ფოიეში, რაც შესაძლებელს ხდის ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა ნახოს დოკუმენტი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N2-44 ბრძანება** - „სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
- „სკოლის ფილოსოფიის გადახედვისა და სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 - 2025 წლის 26 მარტი.



- პედაგოგებთან სკოლის ფილოსოფიის პროექტის გაცნობის ოქმი #1 02.04.2025წ.
- თვითმმართველობის მოსწავლეებთან სკოლის ფილოსოფიის პროექტების გაცნობის ოქმი #2 02.04.2025წ.
- მე-9ა კლასის დამრიგებლის ანგარიში 02.04.2025წ. სკოლის დირექტორის სახელზე - ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობა მშობლებისათვის.
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული დაგეგმარების ძირითად პროცესებს და ეტაპებს, როგორიცაა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი, სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, აღწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი, გათვალისწინებულია გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას, მიზნებისა და ამოცანების დასახვასა და მონიტორინგს, იყენებს SWOT მეთოდოლოგიას.

მეთოდოლოგია დამტკიცებულია სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N2-44 ბრძანებით - „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;



სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სკოლამ განახორციელა რიგი აქტივობებისა. სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 6 წევრის შემადგენლობით. ჯგუფმა მოაგროვა მონაცემები სკოლის შესახებ და გააკეთა არსებული **სიტუაციის SWOT ანალიზი**, რის საფუძველზეც შეადგინა სტრატეგიული გეგმის პროექტი. SWOT ანალიზით ჯგუფმა გამოყო სკოლის ძლიერი მხარეები, რომელთაგან აღსანიშნავია: პოზიტიური და წამახალისებელი გარემო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო; ეკოლოგიურად სუფთა გარემო - გამწვანებული დიდი ეზო; მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის მოტივაცია; მოსწავლეთა შემოდიდება (სკოლის განმარტებით ბოლოს 3 წლის განმავლობაში გაზრდილია მოსწავლეთა კონტიგენტი პირველ კლასებში). სკოლის მიერ წარმოდგენილ, მასალებში მკაფიოდ არ ჩანს, რა სახის/შინაარსის ინფორმაცია შეაგროვა სკოლამ სასკოლო საზოგადოებისაგან, როგორი იყო სამუშაო ჯგუფის კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან, რა შენიშვნები და რეკომენდაციები იყო გამოთქმული, თუ აისახა ეს რეკომენდაციები გეგმის საბოლოო დოკუმენტში, მონაცემების ანალიზის რა ფორმა იყო გამოყენებული და სხვა.

სკოლამ სუსტ მხარეებად გამოყო: გაცდენის შემთხვევაში ჩამნაცვლებელი მასწავლებლების არარსებობა; სასკოლო ცხოვრებაში საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა დაბალი დაინტერესება და ჩართულობა; სკოლის დამატებითი სერვისების სიმწირე; დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე, სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პოზიციებზე კვალიფიციური კადრების დასაქმების დაინტერესების ნაკლებობა; საკმარისი ბიუჯეტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული/აკადემიური კადრებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო სერვისების სიმცირე; მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების ნაკლებობა; მოსწავლეებში სწავლის სტრატეგიების ცოდნის ნაკლებობა; სწავლების ინოვაციური მეთოდების/მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების ნაკლებობა; სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი; არაქართულენოვანი მოსწავლეების სიმრავლით გამოწვეული ენობრივი ბარიერი.

სკოლამ განსაზღვრა სტრატეგიული მიზნები 2024-2031 წლებისათვის:

სტრატეგიული მიზანი N1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

სტრატეგიული მიზანი N2. ადამიანური რესურსის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი N3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი N4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი N5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;

სტრატეგიული მიზანი N6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი #7. ორგანიზაციული განვითარება.

სკოლამ ასევე განსაზღვრა თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განსახორციელებელი ამოცანები.



სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო ვერსიების დამტკიცება/შეთანხმების შესახებ. სტრატეგიული გეგმა დათარიღებულია 2024-2031 წლებით. მისი ათვლის წერტილია 2024 წლის სექტემბერი, როცა მოხდა გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავება. თუმცა გეგმა ოფიციალურად ძალაში შევიდა 2025 წლის 6 აპრილიდან პედსაბჭოზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა-დამტკიცების შემდეგ.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული აქტივობების მიხედვით. კერძოდ, გააუმჯობესოს მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მექანიზმი და ფორმატი (მაგ: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი/გაცდენების მაჩვენებლები/სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი და ა.შ.) კერძოდ, შეიმუშავოს შესაბამისი სპეციალური ფორმები, რათა უფრო რელევანტური იყოს სკოლის SWOT ანალიზი. ასევე მიზანშეწონილია სტრატეგიული გეგმა ზუსტად დაემყაროს SWOT ანალიზს და სტრატეგიული მიზნები პირდაპირ გამომდინარეობდეს ანალიზში ასახული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებიდან. ასევე დააზუსტოს და წინასწარ გაწეროს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის საშუალებები/მექანიზმები, ანგარიშის ფორმები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული გეგმა დათარიღებულია 2024-2031 წლებით და 7 წლიან პერიოდზეა გათვლილი, თუმცა მიზანშეწონილია სკოლამ ერთდროულად/ერთი თარიღით განხორციელოს სტრატეგიული გეგმის ამოქმედება და მისი დამტკიცება.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, 2. ადამიანური რესურსის განვითარება, 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, 7. ორგანიზაციული განვითარება.

რაც შეეხება სკოლის თვითშეფასებას, სკოლა აქვს თვითშეფასებას განხორციელების და მონაცემების შეგროვების პრაქტიკა, თუმცა ეს პროცესი ნაკლებად არის სისტემატიზირებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლის ყოველწლიური თვითშეფასება განხორციელდეს წინასწარ ჩამოყალიბებული წერილობითი ფორმით, რათა სკოლას ჰქონდეს წერილობითი სახის მასალა/მტკიცებულებები განხორციელებული



თვითშეფასებისა და მისი შემადგენელი კომპონენტებისა და ჩართული მხარეების/პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების შესახებ.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები და რესურსები. პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები შესაბამისობაშია სკოლის მიერ გეგმით დაგეგმილი აქტივობების შინაარსთან და მიმართულებასთან. თუმცა დაგეგმილი აქტივობები ხშირ შემთხვევაში ზოგადი და შაბლონური ხასიათისაა და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმაში სკოლამ ამოცანების შესაბამის აქტივობები უფრო ზუსტად მოარგოს სკოლის კონტექსტს, მისიას და სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე დაზუსტებულად ასახოს არსებული საჭიროებები და შესაბამისი ღონისძიებები, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს რა აქტივობებს გეგმავს სკოლა აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სკოლის მისიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული პრიორიტეტების განსახორციელებლად, როგორ შუწყობს ხელს არაქართველი მოსწავლეების ინტეგრაციას ქართულ გარემოში, სკოლის თითოეულ მოსწავლეში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, რა აქტივობებს გეგმავს SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში მითითებული პრობლემების აღმოსაფხვრელად: მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების ნაკლებობა, არაქართულენოვანი მოსწავლეების სიმრავლით გამოწვეული ენობრივი ბარიერი. ასევე კონკრეტულად რას გეგმავს სკოლის ხედვაში მითითებული არაფორმალური გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N2-44 ბრძანება - „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
- SWOT ანალიზი.
- სამოქმედო გეგმა 2024-2025ს/წ
- სკოლის სტრატეგიული გეგმა 2024-2031წწ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-44 10.03.2025წ. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები - მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: სკოლას მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მხოლოდ გეგმის მონიტორინგის შეფასების მექანიზმები. მიზანშეწონილია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული გეგმის შეფასების მექანიზმები, როგორც ეს აქვს გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგთან მიმართებაში, რადგან მონიტორინგი და შეფასება 2 განსხვავებული, თუმცა ურთიერთდაკავშირებული პროცესია. კერძოდ, რა მექანიზმებით აპირებს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

2..არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
-

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. კერძოდ, სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და დირექტორის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც მოცემულია სკოლის პერსონალის შფასების კრიტერიუმებში (დირექტორის ბრძანება #2-91 9.04.2025წ.) თანამშრომლების სამუშაო სპეციფიკა აღწერილია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რგოლები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო.

სამეურვეო საბჭო - არჩეულია 20.06.2022წ. და შედგება წევრისაგან (3 მასწავლებელი და 3 მშობელი სამივე საფეხურიდან).

პედაგოგიური საბჭო - შედგება 31 მასწავლებლისაგან. დისციპლინური კომიტეტი შედგება 6 წევრისაგან (2-2 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი). მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩეულია 2024 წლის ოქტომბერში. საშტატო განრიგის მიხედვით - დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის ერთი მოადგილის, ბუღალტრისაგან. ადმინისტრაციაში შედის საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხა: სკოლის ერთი ექიმი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 3 სსსმ პირის ასისტენტი - სულ 9 კაცი.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შექმნილია სკოლის დირექტორის 2025წ. 29 იანვრის #2-11 ბრძანებით და მასში შეტანილია ცვლილება 2025 წლის 31 მარტს #2-75 ბრძანებით.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა: 1. სახელმწიფო ენის კათედრა - ქართული ენის მასწავლებლები,

2. მათემატიკის, ისტ-ის და საბუნებისმეტყველოს კათედრა, შემადგენლობა: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ისტ-ი. 3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - ისტორია, გეოგრაფია, ჩვენი საქართველო, მე და საზოგადოება, სამოქალაქო განათლება. 4. უცხო ენების კათედრა - ინგლისური და რუსული. 5. ესთეტიკური აღზრდის კათედრა - სახვითი ხელოვნება, სპორტი და მუსიკა. 6. დაწყებითის კათედრა: ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება.



შემუშავებულია კათედრის დებულება, რომელიც დამტკიცებულია პედსაბჭოს #5 სხდომაზე 2024 წლის 9 სექტემბერს. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის ისქულის ბაზიდან ამოიღო დამტკიცებული სამტატო განრიგი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: სკოლის სტრუქტურაში დირექციის შემადგენლობაში დაფიქსირებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი და არაკოლეგიალური ორგანოები. მიზანშეწონილია სკოლამ დააზუსტოს რას გულისხმობს არაკოლეგიალურ ორგანოებში ან სტრუქტურა შეუსაბამოს სკოლის რეალურ მდგომარეობას.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით არის განაწილებული. ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის წევრმა იცის საკუთარი მოქმედების სფერო და საქმიანობაც განსაზღვრულია დროში, რაც ხელს უწყობს საერთო საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. **სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სამოქმედო გეგმაში სკოლის ძირითადი მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული.**

სკოლის დირექტორის 2025წ. 10 მარტის #2-46 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის მე-9 მუხლის - **სამუშაო აღწერილობა მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომელთა მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას და მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას: თანამდებობის/პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული; შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები; სამუშაოს პირობები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**



სკოლამ წარმოადგინა დირექტორის #2-91 ბრძანებით 2025წ. 9 აპრილს დამტკიცებული სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობა, კერძოდ, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, მტუკ-ის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, სსსმ პირის ასისტენტის, დარაჯის, დამლაგებლის, ექიმის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პერსონალის შეფასების კრიტერიუმებში (დირექტორის ბრძანება #2-91 9.04.2025წ.)
- საგნობრივი კათედრების დებულება - დამტკიცებულია პედაგოგის #5 სხდომაზე 2024 წლის 9 სექტემბერს.
- სკოლის დირექტორის 2025წ. 10 მარტის #2-46 ბრძანებით დამტკიცებული „ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-11 29.01.2025წ. „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“.
-

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელშიც გაწერილია შემდეგი საკითხები: ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი (რომელიც მოიცავს 4 მიმართულებას) და სტრატეგია, სამუშაო აღწერილობის საკვანძო ინფორმაცია, კადრების მოზიდვა-შერჩევა, მასწავლებლის შერჩევა (კონკურსის დეტალური წესი), პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისათვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს, ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროებების პროგნოზირებას მოთხოვნის დადგენით საჭირო შემთხვევაში. საჭირო პოზიციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სკოლა ახორციელებს შიდა გადაადგილებებს ფუნქციის დაკისრებისა და საჭირო კადრის გარედან მოზიდვის სახით. საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა მოქნილად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რათა კრიტიკულ შემთხვევაში ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს, არ დაირღვეს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება. თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სამუშაოზე გამოცხადებას და ვერც დროულად აცნობებს სკოლას აღნიშნულის შესახებ, ხდება ჩანაცვლება იმავე საგნის მასწავლებლით შეთანხმების საფუძველზე. ამ მიზნით სკოლა აწარმოებს ჩანაცვლების ჟურნალს. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის შერჩევა. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლას შეუძლია რისკების მართვა და ფუნქციების სხვაზე დელეგირება. სკოლის დირექტორმა მოიყვანა შიდა კონკურსის საფუძველზე საინფორმაციო მენეჯერად სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის დასაქმების მაგალითი, როდესაც საინფორმაციო მენეჯერი 2024-2025 ს/წელს გავიდა დეკრეტულ შვებულებაში და მის ნაცვლად დროებით დასაქმდა მოქალაქეობის მასწავლებელი. დღეს ის წარმატებით ასრულებს დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ.



სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენას ახდენს საგაკვეთილო დასწრებით, რისთვისაც იყენებს გაკვეთილის შეფასების ფორმას (შაბლონი).

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი დოკუმენტური სახით, რომლის საფუძველზეც გახორციელდება ინტერვენცია - მხარდამჭერი ღონისძიებები.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლაში მასწავლებლის დასაქმების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების, საქართველოს კანონის “ზოგადი განათლების შესახებ” შესაბამისად. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, რომელიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში - მასწავლებლის შერჩევა, კონკურსის გამოცხადება, კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა.

დოკუმენტი ითვალისწინებს კონკურსის გამოცხადებას, კომისიის შექმნის წესსა და საქმიანობას, კონკურსის ეტაპებს (1 – განაცხადების გადარჩევა, 2 – შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3 - კონკურსის შედეგების განსაზღვრა), სკოლაში ვაკანტური პოზიციის შესავსებად ცხადდება ღია კონკურსი, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, სპეციალური მოთხოვნები.

ღია კონკურსი ცხადდება ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე <http://teacherjobs.ge/>-ზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიის შემთხვევები. სკოლამ მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონულ გვერდზე დადო ინფორმაცია მასწავლებლის კონკურსის შესახებ, ასევე დადო საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსის დასრულების შემდეგ სკოლამ გააფორმა სათანადო შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელთან.



2025 წლის 10 მარტს სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-39 „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ გამოცხადდა კონკურსი დაწყებითი განათლებისა და სპორტის მასწავლებლების ვაკანტურ თანამდებობაზე. ბრძანების დასაბუთებაში მითითებულია, რომ შიდა კონკურსით ვერ მოხერხდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებისათვის ვაკანტური საათების სრულად გადანაწილება.

სკოლის დირექტორის ბრძანება #2-175 21.08.2023წ. „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“. კონკურსი გამოცხადდა შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა, 2. ქართული ენა და ლიტერატურა, 3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი, 4. დაწყებითი კლასი. კონკურსი გამოცხადდა 21 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით. **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-177 25.08.2023წ.** „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი და დაწყებითი კლასის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“.

დაკმაყოფილებულია ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შესარჩევად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალი შეირჩევა კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. პერსონალის შერჩევის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია.

სკოლაში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა თანამშრომლის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ფურცლები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით



ხელშეკრულებები. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა უფროს და წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებულია ერთი და იგივე ტიპის შრომითი ხელშეკრულება.

სკოლას შემუშავებული აქვს დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ - დირექტორის ბრძანება #2-59 25.03.2025წ.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის კვალიფიკაცია წარმოდგენილი შრომით ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შემთხვევითი დათვალიერების გზით. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც დანომრილია რიგითობის მიხედვით და გატარებულია შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლაში დასაქმებულია 41 თანამშრომელი, რომელთაგან 29 მასწავლებელია, 1 უსტატუსო - სპეციალური საჭიროების მასწავლებელი, 3 წამყვანი, 21 უფროსი, 4 მოწვეული (სამი სპორტის და ერთი დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების მასწავლებელი), მოწვეულ მასწავლებლებს პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გაუფორმდათ მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება მცირე საათობრივ დატვირთვაზე. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოწვეული მასწავლებლებიდან დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს (ბუნებისმეტყველების და სპორტის) არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და კომპეტენცია და არც შესაბამის პოზიციაზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სკოლის განცხადებით ყველა მასწავლებელი დარეგისტრირებულია საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

სკოლის ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაცია დიპლომით არის სტომატოლოგია. შესაბამისად ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას №41/ნ/01-23/ნ 2022წლის 21 მარტი.

მოქმედი ბიბლიოთეკარი - სკოლაში მუშაობს 2012 წლიდან. მისი პროფესია დაწყებითისა და რუსული ენის ფილოლოგიის სპეციალობა. 2025 წელს ბოლნისის #1 საჯარო სკოლაში გავლილი აქვს პროფკავშირების ტრენინგი საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ.

სკოლას წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები კვალიფიციური კადრების მოზიდვა-გადამზადების კუთხით 25.04.2025წ. 15.09.2026წ-მდე.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი აქტივობა და



უზრუნველყოს სკოლის ექიმის შტატზე სათანადო კვალიფიკაციის პირის შერჩევა დათქმულ ვადებში 10.04.2025წ.

15.09.2026წ. ასევე უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა მოძიება კანონდებლობით

დადგენილი წესით დათქმულ ვადებში 10.04.2025წ. 15.09.2026წ.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ განსხვავებული სახის ხელშეკრულებები გააფორმოს სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლებთან და კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს წამყვანი და უფროსი მასწავლებლის მიერ შესასრულებელი სასკოლო ვალდებულებები.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში დამკვიდრებული პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი პერსონალის ჩართულობით და თანამშრომლობით დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია მონაწილეობითი მუშაობის პრინციპებით, რომლის მიხედვით ხდება, სკოლაში ახლად დასაქმებული კადრის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაცია. სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებსა და საჭიროებებს. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის დამადასტურებლად კოლეგიალური ორგანოების (პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების და სხვა) შეხვედრების ოქმები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. სკოლის აქვს ფეისბუქის სოციალური გვერდი, სადაც ხდება თანამშრომელთა წარმატებების გაზიარება, თუმცა ეს გვერდი საჭიროებს ტექნიკურ გადახალისებას (მასზე მოცემული ფოტო-მასალა ნაკლებად იძლევა კონკრეტული აქტივობის იდენტიფიცირების საშუალებას). სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული



მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფის დებულება. სკოლის დირექტორმა ისაუბრა რაიონულ კონფერენციაზე მონაწილე მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარების პრაქტიკაზე და წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატი.

სკოლას შემუშავებული აქვს საგაკვეთილო დაკვირვების ფორმა, სკოლას აქვს კოლეგების ურთიერთდასწრების და სასწავლო აქტივობებისა და მეთოდების დაკვირვების პრაქტიკა, თუმცა არა აქვს შემუშავებული უკუკავშირის მიღების მექანიზმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა), ასევე მიზანშეწონილია სკოლამ მოაწესრიგოს ფეისბუქ-გვერდი, რათა უფრო ეფექტურად გამოიყენოს სოციალური გვერდი და მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა წარმატებული გამოცდილების აღიარებისათვის. მიზანშეწონილია სკოლამ შექმნას კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მექანიზმები, რომელსაც გამოიყენებს შესაბამისი უკუკავშირების მისაღებად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ - დირექტორის ბრძანება #2-59 25.03.2025წ.
- მასწავლებელთა ჩანაცვლების ჟურნალი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფის დებულება.
- საგაკვეთილო დაკვირვების ფორმა
- 2025 წლის 10 მარტს სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-39 „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“.
- დირექტორის ბრძანება #2-175 21.08.2023წ. „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“.



- დირექტორის ბრძანება #2-177 25.08.2023წ. „დაბა თამარისის საჯარო სკოლაში მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი და დაწყებითი კლასის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ასევე ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი. დოკუმენტის მე-19 მუხლი ეხება შესრულებული სამუშაოს შეფასებას. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ



შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. დოკუმენტი ითვალისწინებს შეფასების მეთოდებს, როგორცაა 360 გრადუსიანი შეფასება, შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება, კრიკტიკული შემთხვევები და სხვა. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შეფასების ეტაპებს, რომელიც სკოლამ უნდა განსაზღვროს. **მასწავლებლებთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება, რომ პროფესიული საჭიროებების დადგენა სკოლაში ძირითადად ხდება ზეპირი უკუკავშირების გაცემის ფორმით და ნაკლებად გროვდება შესაბამისი მასალები. მაგალითად, არ ჩანს პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში საგაკვეთილო დასწრებების კონკრეტული მასალები. აქედან გამომდინარე, ზეპირი უკუკავშირების პრაქტიკა ნაკლებად ეფექტურია პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის კუთხით. შესაბამისად, ზემოთაღნიშნული სასკოლო დოკუმენტით გაწერილი რეგულაცია ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დაკონკრეტებას.**

დოკუმენტის მე-20 მუხლით დარეგულირებულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, რომლის მიხედვითაც პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის 2024-2025 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებაში ასახულია შესაბამისი აქტივობები. მაგ. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება/ინფორმაციის მიწოდება, გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება და სხვა. თუმცა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები უფრო შაბლონური ხასიათისაა და აკლია კონკრეტულობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უფრო დაზუსტებულად ასახოს დოკუმენტაციაში, მათ შორის სამოქმედო გეგმაში პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. დააკონკრეტოს დაგეგმილი აქტივობების შინაარსი, კრიტიკული შემთხვევების შეფასებისა და სამუშაო/სასწავლო პროცესზე დაკვირვების კონკრეტული მექანიზმები. მიზანშეწონილია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის კონკრეტული მექანიზმები და ისინი გაწერილი იყოს წერილობით წინასწარ განსაზღვრული ფორმით, სადაც აღწერილი იქნება ხარისხის მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ.



მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმები იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, სთავაზობს მასწავლებლებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს. ასევე მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრებზე განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები, რაც თავისთავად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის განმარტებით, პროფესიული განვითარების სქემის დროებითმა შეჩერებამ შეანელა პერსონალის კარიერული ზრდის კონკრეტული აქტივობები. მომავალში სკოლა გეგმავს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის პროგრამის უფრო აქტიურად განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით. კერძოდ, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლას გათვალისწინებული აქვს შემდეგი პროცედურების განხორციელება: პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან; თანამშრომლების გაცნობა; მენტორი თანამშრომლის გამოყოფა და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.



პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა იყენებს დასაქმებულის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმებს. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. იქნება ეს მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება თუ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, მიზნები, სასწავლო პროცესის სხვა საკითხები. სკოლაში ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობა, უკუკავშირების გაცემა კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება და სხვა პროცესები, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განვითარებას.

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ აუცილებელია საორგანიზაციო პროცედურებისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების სრულყოფა, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მისი დანერგვის კიდევ უფრო ეფექტური მექანიზმების შექმნა, სასწავლო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება, ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დახვეწა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.



რჩევა: მიზანშეწონილია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის სხვადასხვა საქმიანობების თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და განხორციელება, ხარისხის შიდა მექანიზმების შემუშავება არა მარტო სასწავლო პროცესის, არამედ სხვადასხვა მიმართულებებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას დემინგის ციკლის სრულყოფილად მოქმედება (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება). მიზანშეწონილია აღნიშნული პროცესის უწყვეტად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად ყოველი სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს წინა წლის მიღწევებს და გამოწვევებს. მაგალითად, საგაკვეთილო დაკვირვების ფორმატში სასურველია მოხდეს დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების დასახვა, შემდეგ ინტერვენცია, უკუკავშირების მექანიზმების შემუშავება, საგაკვეთილო დაკვირვების ხელახალი განხორციელება (როგორ მოახდინეს რეაგირება) და განახლებული მიზნების დასახვა.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და სხვა). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

სკოლაში ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად რგოლს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო



და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. სკოლაში სწავლის შედეგების შეფასებისა და სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია მონიტორინგის ჯგუფი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 აპრილის N 2-90 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურებს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს.

ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინური კომიტეტის ან/და სამეურვეო საბჭოს მიერ რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება არ დამდგარა. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დისციპლინურ გამოწვევებზე რეაგირებას ახდენს სკოლის დირექტორი. დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება, მშობლები ინფორმირებული არიან მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ გაცემული ინფორმაციების მეშვეობით. ხელშეკრულებებში



გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

დირექტორის ბრძანებით (#2-58 25.03.2025წ.) დამტკიცებულია წესი „სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ“. წესი არეგულირებს მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერ უფლებებს, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესის გაცნობის აღრიცხვის ფურცელი - 40 თანამშრომლის სახელისა და გვარის ხელმოწერით. ფორმა შევსებულია 2025 წლის მარტის ბოლოს და აპრილის თვეში. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით (#2-43 10.03.2025წ.) დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-43 „დაბა თამარისის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ“.
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-58 „დაბა თამარისის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ“.
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება
- სკოლის შინაგანაწესი
- საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი.
-

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სოციალური ქსელს, კათედრების და დამრიგებლების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესენჯერ-ჯგუფებსა და თიმის გუნდებს. სკოლა სარგებლობს სოციალური ქსელით, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სოციალურ ქსელში (მესენჯერი) კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილია მშობლებისა და მოსწავლეების დახურული ჯგუფები, რომელსაც იყენებენ ინფორმაციის დროული მიწოდებისთვის. სკოლაში ტარდება პირისპირი შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. სკოლა დოულად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია (ძირითადად ფოტო-მასალის სახით) სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებზე. თუმცა ეს გვერდი არ არის სტრუქტურირებული და საჭიროებს გაუმჯობესებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღების მექანიზმები, მაგალითად გამოიყენოს მოქმედი სკოლის ფეისბუქ-გვერდი და აღჭურვოს ის დამატებითი ტექნიკური შესაძლებლობებით, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოებში: მასწავლებლები ჩართული არიან სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოს - პედაგოგიური საბჭოს საქმიანობაში, სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას (პედაგოგიური საბჭოს ოქმი #5 9.09.2024წ.). სამეურვეო საბჭოს წევრები არიან სამივე საფეხურის მშობლები, მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში და სკოლის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშდის დამტკიცების პროცესში (სამეურვეო საბჭოს



ოქმი #4 10.12.2024წ.). სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიალური ორგანოების ოქმებით (სამეურვეო საბჭოს ოქმი, პედსაბჭოს ოქმი, მრჩეველთა საბჭოს ოქმი, კათედრის ოქმი). ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმი #5 9.09.2024წ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #4 10.12.2024წ.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი #1 16.09.2024წ.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ოქმი #1 03.09.2024წ.
- ესთეტიკური საგნების კათედრის ოქმი #1 02.09.2024წ. ოქმი #2 25.10.2024წ. და ოქმი #3 13.01.2025წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა



1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

უსაფრთხოების დაცვის საკითხებში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს მანდატურის სამსახური 2 მანდატურით. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით **განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი**, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი **აღჭურვილია ვიდეოსათვალითვალო სისტემით**. შესვენებაზე დერეფნებში ხდება მასწავლებელთა მორიგეობა, მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. მორიგეები აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ დირექციას გაცდენების შესახებ.

შენობის ყველა სართულზე, **თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა**. სკოლას შემოვლებული აქვს კაპიტალური ღობე და დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან.

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი #765184 14.03.2025წ. სკოლისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ დაბა თამარისის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2027 წლის 6 ოქტომბრის #452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 13.03.2025წ. #2-48 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნას. სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი #5004800322 18.07.2022წ. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი. ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი #863012 01.08.2022წ. სკოლას ჩაუტარდა ექსპერტიზა 2022 წლის ივლისში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინიციატივით. **დასკვნის თანახმად, „სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო**. სკოლის შენობაზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზიშნობის ექსპლუატაციის პერიოდში გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის სეისმური დატვირთების ზეგავლენასთან ერთად წარსულში დაზიანებული სახურავიდან ჩამოსული წყლებიცაა, რის გამოც დაზიანებულია გადახურვის ფილები და მზიდის კედლები. შენობის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებამდე უნდა შეიზღუდოს ძირითადი შენობის მარცხენა ტორსულ ნაწილში პირველ სართულზე მდებარე #5 და #6



და მეორე სართულზე მდებარე #54 და #55 საკლასო ოთახების ექსპლუატაცია. რაც შეეხება შენობის დანარჩენ ნაწილს, დღეის მდგომარეობით მისი ექსპლუატაცია შესაძლებელია“. დაწესდა პერიოდი ბზარებზე დაკვირვების საწარმოებლად.

2022 წლის 03.11. სკოლამ მიიღო წერილი #398091 ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრისაგან, რომელიც სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს წერილის საფუძველზე ატყობინებს სკოლას, რომ მოიხსნას 4 საკლასო ოთახის ექსპლუატაციის შეზღუდვა.

2024 წლის 02.02. სკოლამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს სკოლის შენობის მდგომარეობის შესამოწმებლად დასკვირვების პერიოდის გასვლასთან დაკავშირებით. წერილში მითითებულია, რომ 3 თვიანი დაკვირვების შედეგად ბზარები არ გაზრდილა და მოიხსნა შეზღუდვა 4 საკლასო ოთახზე ექსპლუატაციის კუთხით.

სკოლას შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შესაბამის უწყებასთან შეთანხმება 2025 წლის 10 ივლისამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლას შესრულებული ჰქონდა აღნიშნული აქტივობა - აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სათანადო უწყებასთან. სკოლას გაკეთებული აქვს განაცხადი შესაბამის უწყებასთან სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების თაობაზე. სკოლის დირექტორის განცხადება (#5/30/25. 11.55.AM12.03.2025წ.) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან, რომლითაც ითხოვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და დასაქმებულია ექიმი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა და სასწრაფო დახმარების გამოძახება. საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულობა, მანდატურის სამსახურის ინფორმირებულობა და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან



ხდება ექიმის მეშვეობით - ექიმი უკავშირდება კლასის დამრიგებელს, ის მშობელს და ამის შემდეგ ხდება ბავშვის გატანება სახლში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა ექიმის კაბინეტი. კაბინეტი მოქმედებს 2017 წლიდან, როცა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ რეაბილიტაცია ჩაუტარა სამედიცინო ოთახს და განახორციელა მისი კეთილმოწყობა. ინფრასტრუქტურის სააგენტომ მიაწოდა სკოლას სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა. **სკოლამ წარმოადგინა აღჭურვილობის დოკუმენტი - მიღება-ჩაბარების ქტი.** კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის მედიკამენტებით. ამ ეტაპზე სკოლა არ აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვის ფორმას.

სკოლამ გადასცა ექიმს ლეკტოპი. ექიმი აწარმოებს სამედიცინო შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალს. ჟურნალში ასახულია შემდეგი მონაცემები: მოსწავლის სახელი და გვარი, მომართვის მიზეზი, თარიღი და გაწეული დახმარება. ექიმი ასევე აწარმოებს სკოლაში ჩატარებული სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების აღრიცხვას ცალკე ჟურნალში. კერძოდ, სასმელი წყლის ავზების დამუშავება ქიმიური ხსნარებით (შპს „დეზეფექტი“ - ქლორის შემცველ საშუალებს აწვდის), ავზების დამუშავების პერიოდულობა - კვირაში ერთხელ ეზოში მდგარი ავზი, რომელიც გამოიყენება ხელების დასაბანად, დიდი ავზი (ხელსაბანები), რომელიც გამოიყენება საპირფარეშოების დასუფთავების მიზნით - 2 კვირაში ერთხელ. სამასწავლებლოში მდგარი წყლის დისპენსერს - ყოველდღე უტარდება შემოწმება.

ექიმის მონაწილეობით სკოლაში ტარდება პრევენციული სახის ღონისძიებები, მაგალითად პრეზენტაცია: 1. შიდსთან ბრძოლის დღის აღნიშვნა - საშუალო საფეხურის კლასებში, 2. საუბარი ნაადრევი ქორწინების შესახებ მანდატურის სამსახურის ჩართულობით. 3. დაუნის სინდრომის დღის აღნიშვნა. 4. სკოლის გარეთა სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობა - ბავშვების აქცია სახელწოდებით „სუფთა გარემო“. 5. ზაფხულის დადგომასთან ერთად შეხვედრა-საუბრები ჰიგიენის საკითხებზე მანდატურის სამსახურის ჩართულობით.

სკოლის მოქმედი ექიმი 2017 წლიდან არის დასაქმებული სკოლაში, მას შემდეგ რაც გაიხსნა ექიმის კაბინეტი. მისი შერჩევა მოხდა კონკურსის წესით. ექიმის კვალიფიკაცია - დიპლომით სტომატოლოგი. მანამდე სამუშაო გამოცდილება - სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ექიმი და საყოველთაო ჯანდაცვის ექიმი. მოცემულ შემთხვევაში ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს - სერტიფიცირებული ექიმი სპეციალობა პედიატრი, გადაუდებელი დახმარების ექიმი და კრიტიკული მედიცინის ექიმი.

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით (#2-63 26.03.2025წ.) დამტკიცებული „დაბა თამარისის სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. რომელიც არეგულირებს გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს



გასატარებელი ღონისძიებებს, სამედიცინო პერსონალის კომპეტენციას, სამედიცინო დახმარების მექანიზმებს. პაციენტის უფლებებს, აღჭურვილობის უსაფრთხოებას.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

სკოლას წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები კვალიფიციური კადრების მოზიდვა-გადამზადების კუთხით 25.04.2025წ. 15.09.2026წ-მდე.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი აქტივობა და

უზრუნველყოს სკოლის ექიმის შტატზე სათანადო კვალიფიკაციის პირის შერჩევა დათქმულ ვადებში 10.04.2025წ.

15.09.2026წ.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი დირექტორის ბრძანებით. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ მანდატურები, რომლებიც ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას. ამ საქმეში მათ ეხმარებიან სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის დარღვევების ჟურნალში და სკოლა თავის მხრივ ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას. ასევე დამრიგებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას, ბავშვის სახლში გაშვება შენობიდან ხდება დამრიგებლის საშვის მეშვეობით. სკოლის შინაგანაწში გაწერილია სკოლაში აკრძალული ნივთები, რაც ცნობილია მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 20.12.2023წ.,??? რომელშიც მითითებულია სკოლის მიერ ჩატარებული ღონისძიებები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი „დაბა თამარისის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესახებ“. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტს არ ახლავს სკოლის სამართლებრივი საფუძველი.



ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული დაბა თამარისის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია. დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-71 27.03.2025წ.

მანდატურის სამსახური ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, პროცესში ჩართული არიან სპეციალური მასწავლებლები, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება ხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლამ წარმოადგინა რეფერირების ჟურნალი, სადაც დაფიქსირებულია შესაბამისი შემთხვევები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. რეგულარულად ხდება სანიტარულ ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მათ შესანახად გამოყოფილია სპეციალური სივრცე. სკოლას აქვს ეზო და რეკრეაციული ზონა, სკოლაში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 3 დამლაგებელი. ასევე სკოლის ექიმი კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სველი წერტილები მოწყობილია შენობის ორივე სართულზე, გოგონებისა და ვაჟებისათვის არის ცალ-ცალკე საპირფარეშოები, მოწყობილია კაბინები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

თუმცა სკოლას აქვს სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. შენობა მარაგდება დასახლების - დაბა თამარისის წყლით, წყალი მიეწოდება გრაფიკით, დილის საათებში 8-დან 11 საათამდე, შესაძლოა კვირის გასაზღვრულ დღეებში. გაზაფხულის სეზონზე წყლის წნევა კლებულობს, რადგან მოსახლეობა სარწყავად იყენებს წყალს. შენობაში დამონტაჟებულია სხვადასხვა დანიშნულების წყლის ავზები (5 ტონიანი რეზერვუარი ტექნიკური წყლისათვის და 1 ტონიანი რეზერვუარი დასაღვები წყლისათვის). წყალი იქლორება სადებიზინფექციო სამსახურის მიერ, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს სათანადო ხელშეკრულება. შესაბამისად სველ წერტილებში არ ფუნქციონირებს წყლის ჩამრეცხი სისტემა, რადგან წყლით ჩარეცხვა ხდება სველ წერტილებში მოთავსებული სხვადასხვა ტევადობის ჭურჭლის



გამოყენებით. სკოლის ექიმი აწარმოებს სკოლაში ჩატარებული სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების აღრიცხვას ცალკე ჟურნალში. კერძოდ, პერიოდულად ხდება სასმელი წყლის ავზების დამუშავება ქიმიური ხსნარებით (შპს „დეზინფექტი“ - ქლორის შემცველ საშუალებს აწვდის), კვირაში ერთხელ ხდება ეზოში მდგარი ავზის დასუფთავება ხსნარებით, რაც გამოიყენება ხელების დასაბანად, 2 კვირაში ერთხელ მუშავდება დიდი ავზი (ხელსაბანები), რომელიც გამოიყენება საპირფარეშოების დასუფთავების მიზნით, სამასწავლებლოში მდგარ წყლის დისპენსერს - ყოველდღე უტარდება შემოწმება. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია.

სკოლის მახლობლად განთავსებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების ურნები. სკოლას ემსახურება **1 მეეზოვე-დამლაგებელი**, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ეზოს სისუფთავს, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „**პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები**“, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. სკოლას ჰყავს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი**, რომელიც არის **რესურსცენტრის მიერ ბრძანებით გამოყოფილი პირი**. ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბრძანება #01/კ-16 21.03.2025წ. „რესურსცენტრის იმ თანამშრომლის განსაზღვრის შესახებ, რომელიც დაბა თამარისის საჯარო სკოლისათვის უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას“ (სკოლამდელი განათლების სპეციალისტი).

სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება საჯარო სივრცეში ხდება მშობლის თანხმობით. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. აღნიშნული მუხლი ასახულია სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია



7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. დოკუმენტაცია ინახება საგანგებო ოთახში (საქმისმწარმოებელთან) და მასზე კონტროლს ახორციელებს პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება #2-63 26.03.2025წ. „დაბა თამარისის სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ“.
- სკოლის ექიმის პირადი საქმე
- „დაბა თამარისის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი #863012 01.08.2022წ.
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული დაბა თამარისის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია. დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-71 27.03.2025წ.
- დირექტორის განცხადება (#5/30/25. 11.55.AM12.03.2025წ.) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან
- 2022 წლის 03.11. წერილი #398091 ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრისაგან - 4 საკლასო ოთახის ექსპლუატაციის შეზღუდვის მოხსნის თაობაზე.

•

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლას აქვს ერთი შენობა-ნაგებობა - 2 სართულიანი კორპუსი, განაშენიანების ფართი -1538კვ.მ. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი და შენობის აზომვითი ნახაზი. პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ღონისძიებების ოთახი. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, მანდატურების ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის განკუთვნილი სივრცე. ვიზიტის ფარგლებში



სკოლაში ირიცხებოდა 387, მათ შორის 18 სსსმ მოსწავლე. სკოლაში ამჟამად 20 ფინანსური კლასია და შენობაში სულ 15 საკლასო ოთახი, მათ შორის 10 საკლასო ოთახია 50კვ.მ. დანარჩენი ოთახები 40კვ.მ. ნაკლები. .

სკოლის შენობა აგებულია 1980 წელს, არის ნაწილობრივ რეაბილიტირებული - 2006 წელს განათლების სამინისტროს მიერ ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, გამოცვლილია გარე კარ-ფანჯარა (ხის ნაცვლად მეტალო-პლასტმასის) სახურავი გადაიხურა თუნუქით, მოეწყო სველი წერტილები, მოეწყო ექიმის ოთახი. 2017 წელს სკოლამ საკუთარი ხარჯებით გაარემონტა სართულის ერთი ფლიგელი და სპორტდარბაზის სახურავი.

სკოლა ამჟამად სწავლობს ერთ ცვლაში. პარალელური კლასები - რიგ შემთხვევაში 2-2-ია, მათ შორის პირველი კლასები. რაც მიანაშნებს იმაზე, რომ აქვს გაზრდის პერსპექტივა. სკოლაში სწავლობენ **მეზობელი აზერბაიჯანული სოფლებიდან** მოსული მოსწავლეებიც, ძირითადად აზერბაიჯანულენოვანი, რადგან მოთხოვნა გაზრდილია ქართულ სექტორზე. სკოლას განაცხადი შემოტანილი აქვს 500 მოსწავლეზე. არსებული საკლასო ოთახების არსებობის პირობებში სკოლაში ერთ ცვლაში მოთავსდება 500 მოსწავლე.

სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი 500 მოსწავლის დასაკმაყოფილებლად ერთ ცვლაში სწავლის პირობებში: სპორტული დარბაზი (არა აქვს გასახდელები), ღია სპორტული მოედანი (სკოლის ეზოს მომიჯნავედ მუნიციპალური საკუთრების, რომელსაც სკოლის მოსწავლეები იყენებენ სპორტის გაკვეთილიზე), ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, პატარა სააქტო დარბაზი. ამჟამად ეს სივრცე არ არის კეთილმოწყობილი, თუმცა რეაბილიტაციის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება სააქტო დარბაზის ფუნქციით.

შენობის მე-2 სართულზე სკოლას აქვს პატარა სივრცე საკლასო ოთახის მომიჯნავედ, რომელსაც იყენებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დანიშნულებით. მასში განთავსებულია(ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მოძველებული აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა. არ არის მაგიდა, გამწოვი, წყლის სისტემა და სხვა საჭირო ინვენტარი.

სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის - მიღება-ჩაბარებების აქტები:

- საკლასო ინვენტარი - მერხები/სკამები - 380 ცალი, დაფები - ყველა ოთახში.
- კომპიუტერების რაოდენობა - 11 ცალი და 22 ლეპტოპი და ბუკი (ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში).
- კომპიუტერების განაწილება - სამასწავლებლოში, კანცელარიაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში (6 მუშა).
- პროექტორები - 4 ცალი მოქმედი. გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისა და კომპიუტერული ლაბორატორიისათვის.
- პრინტერები - შავი-თეთრი 6 ცალი (ყველა მოქმედი). ფერადი პრინტერი - არ აქვს.



- 3 ფორტეპიანო - ძველი, მაგრამ მუშა მდგომარეობაში.
- 1 კომპლექტი დინამიკი მიკროფონით.

თუმცა სკოლის შენობა მთლიანად საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დაზიანებულია კედლები და ჭერი, კარებები შეკეთებულია სკოლის ძალებით, შენობაში არის ელექტროგანათების პრობლემა, რაც გამოწვეულია ნათურების არასაკმარისი რაოდენობით. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარება სკოლას საკუთარი ძალებით არ შეუძლია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დახარვეზებული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, გამწოვი კარადისა და სველი წერტილის არარსებობა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებით სკოლას ლაბორატორიის მოწყობა დაგეგილი აქვს 26.04.2025 წლიდან 26.04.2026 წლამდე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა დათქმულ ვადაში 26.04.2026წ.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს გასახდელების მოწყობა ვაჟებისა და გოგონებისათვის სპორტული დარბაზის ტერიტორიაზე.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლის დიდი და ნათელი დერეფნები, ეზო - რეკრეაციული ზონა ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების გამართვა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც არ არის კეთილმოწყობილი, რადგან შედგება ერთმანეთის მომიჯნავე 2 გრძივი ოთახისაგან. ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი უკავია წიგნთსაცავს, მეორე ნაწილში განთავსებულია მერხები და სკამები და მისი გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო დანიშნულებისათვის, ისე კლასგარეშე ღონისძიებების ჩასატარებლად. კეთილმოწყობისა და ოთახების გაერთიანების შემთხვევაში ამ სივრცეს



შეუძლია რეალურად შეასრულოს ბიბლიოთეკის ფუნქცია. სკოლის რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტდარბაზი ქმნის ერთობლიობაში საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **მატერიალური რესურსების გამოყენების წესი**. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ამჟამად არ არის საკმარისი რაოდენობის პერსონალური კომპიუტერი/ლექტოპი (სულ 6 ცალია დამონტაჟებული).

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, გამწვანებული ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (მინი-დარბაზი, შენობის შუა ეზო) სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი და განრიგი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას, რადგან სივრცე შედგება ერთმანეთის მომიჯნავე 2 გრძივი ოთახისაგან. ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი უკავია წიგნთსაცავს, მეორე ნაწილში განთავსებულია მერხები და სკამები და მისი გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო დანიშნულებისათვის, ისე კლასგარეშე ღონისძიებების ჩასატარებლად. არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები ამ სივრცეს იყენებენ კლასგარეშე აქტივობებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე მისი გამოყენება სამკითხველო ფუნქციით ნაკლებად არის შესაძლებელი მისი არაესთეტიური ინტერიერის გამო. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. საცავში სულ 25500 წიგნია, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა 600 წიგნი ქართულ ენაზე, არის ახალგამოცემული ლიტერატურაც, რომელიც ნაჩუქარია სკოლისათვის. ბიბლიოთეკარი აწარმოებს საინვენტარო წიგნს (სულ 3 წიგნია).

კეთილმოწყობის და ოთახების გაერთიანების შემთხვევაში ამ სივრცეს შეუძლია რეალურად შეასრულოს ბიბლიოთეკის ფუნქცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს: სკოლას აქვს ცენტრალურ შესასვლელთან მოწყობილი გარე ლიფტი, რომლითაც უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლის შესვლა შენობაში. მაგრამ სკოლას არა აქვს შიდა პანდუსი - მე-2 სართულზე გადასადგომი საშუალება შუშმ პირისათვის, რაც უზრუნველყოფდა მოსწავლის მისვლას საკლასო ოთახამდე ან მე-2 სართულზე განთავსებულ კომპიუტერულ ან/და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიამდე. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი, სადაც თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ოთახით სარგებლობის განრიგი. ოთახში არის სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსები. სკოლამ წარმოადგინა რესურს-ოთახის რესურსების ჩამონათვალი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - სკოლის ადაპტირება (მე-2 სართულთან დამაკავშირებელი შიდა პანდუსის/ლიფტის მოწყობა). აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადად სკოლას მითითებული აქვს 26.04.2025 წელი - 26.04.2027წელი. სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები რეალისტურადაა გაწერილი.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებისათვის ლიფტის/შიდა პანდუსის მოწყობა 26.04.2027 წლამდე.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული საზიარო სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, სადაც არის მწვანე ნარგავები, ყვავილნარი, დამონტაჟებულია სკამები. მოასფალტებულია და შესაძლებლობას ქმნის იყოს სოციო-კულტურული სივრცე. ეზოს ნარგავების მოვლა-პატრონობას სკოლა საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს, ეს ფუნქცია სკოლის დირექტორის მიერ დაკისრებული აქვს ერთ-ერთ დამლაგებელს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადგილზე დათვალიერება - ფოტო-მასალა
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში მოქმედი 35 კომპიუტერია, აქედან 24 ლეპტოპია



და 11 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 6 პერსონალური კომპიუტერი და 10 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 4 მუშა პროექტორით, 5 პრინტერ-სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით (სკოლა ახალი სკოლის მოდელში ჩაერთო 2020 წლიდან და მოხდა შენობის დაქსელვა ინტერნეტით). აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია კომპიუტერული ტექნოლოგიების საზიარო სივრცეების გამოყენების პირობები და განრიგი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა. სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები მასწავლებლებისთვის: სამასწავლებლო, სკოლის ბიბლიოთეკა. ციფრული განვითარების გეგმა ეხმარება სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს საჭიროებიდან გამომდინარე, განრიგის შესაბამისად გამოიყენონ ციფრული განვითარების გეგმა. მასწავლებლები სარგებლობენ კომპიუტერული ტექნიკით - სამასწავლებლოში, სადაც გამოყოფილია ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული ლეფთოფები. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას აქვს 5 პროექტორი, რომელთა გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).
-

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. დირექტორის ბრძანება #2-65 26.03.2025წ. „სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ბრუნვის ორგანიზება, შემოსული და გასული დოკუმენტაციის დამუშავების წესი, საერთო და საკადრო ბრძანებების დამუშავების წესი. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი, თავის მხრივ, შეესაბამება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისს დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ №414 ბრძანებულებას. **ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა.** სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საერთო და საკადრო ბრძანებები გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აქვს სხვადასხვა ინდექსი. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, რითაც უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას "eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების



ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. ვიზიტის პერიოდში საქმისმწარმოებელი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაშია მ/წლის 27 სექტემბრამდე და მის ნაცვლად მუშაობდა დროებითი მოვალეობის შემსრულებელი. მოვალეობის შემსრულებელი ამავე სკოლის მოქალაქეობის უფროსი მასწავლებელია, რომელიც ადრე 2014-დან 2023 ოქტომბრამდე მუშაობდა სკოლაში საქმისმწარმოებლად, მასწავლებლის სტატუსი მიიღო 2020 წლიდან უფროსი მასწავლებელია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი, მათ შორის ატვირთულია დირექტორის ბრძანებები. სამდივნოში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი.

სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ამოვიღეთ თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა tamarisi@mes.gov.ge რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. სკოლას აქვს



სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ Teams პლატფორმას, სადაც ტარდება თანამშრომელთა ონლაინ სამუშაო შეხვედრები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა skolebi.emis.ge და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ.ფოსტას-tamarisi@mes.gov.ge.

საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმი, რომლის დღის წესრიგიც შეიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო გეგმის გაცნობა, სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა. ოქმს ახლავს დანართი მშობლების ხელმოწერებით. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო პლატფორმა „ეტალონთან“ და პლატფორმას იყენებს მიღწევების საზოგადოებისათვის გასაზიარებლად. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი.**

თუმცა მოსწავლეთა მშობლებს ნაკლებად აქვთ წვდომა სკოლის სოციალურ ქსელებთან, რაც განპირობებულია ენობრივი ბარიერით. სკოლის მოსწავლეები უკეთ ფლობენ ქართულ ენას მშობლებთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში სკოლას მშობლებთან საკომუნიკაციოდ ესაჭიროება მედიატორები, რომლის როლსაც ასრულებს ამავე სკოლის აზერბაიჯანულის მცოდნე რამდენიმე მასწავლებელი და მანდატური.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.



2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. მისამართი სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლაში ვიზიტის დროისათვის სკოლას ყველა საჭირო დოკუმენტაცია ატვირთული ჰქონდა სკოლის ვებ-გვერდზე. ვიზიტის მომენტში სკოლას ამოქმედებული ჰქონდა ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია,



ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი - ერთ მოსწავლეზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი; ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (იჯარა) სკოლას არა აქვს. სკოლის დირექტორის განმარტებით, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება ფინანსური სამოქმედო გეგმა-საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით (მაგალითად მოსწავლეთა მობილობა) გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას სკოლის ფიზიკური გარემო იყოს უსაფრთხო, მოწესრიგებული, სასწავლო პროცესი შეუფერხებელი. თუმცა კომუნალური გადასახადების გადახდის შემდეგ სკოლას მცირე თანხა რჩება საკანცელარიო ხარჯებისა და დასუფთავების საშუალებების შესაძენად. სკოლას აქვს ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებული), თანხების განკარგვა მიმდინარეობს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ბიუჯეტის საფუძველზე შემუშავებულია შესყიდვების გეგმა, რომლის კორექტირებაც ხდება საჭიროების შემთხვევაში და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანება „შესყიდვების გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ #2-246 15.11.2024წ. ასევე შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის ბრძანება#2-13 31.01.2025წ. „სკოლის 2024 წლის შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ #2-246 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

სკოლის ბიუჯეტში ასახული ფინანსები მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.



სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზის, უმთავრესად წინა წლის გამოცდილების საფუძველზე. თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, დამტკიცებულ ბიუჯეტში ბიუჯეტის ზრდისა თუ შემცირების შემთხვევაში ხდება სათანადო ცვლილებების შეტანა სკოლის დირექტორის შემუშავებითა და წარდგინებით. სკოლის ბიუჯეტში ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. **დეკემბრის თვეში სკოლა დირექტორის სახით დეტალურ ანგარიშს წარუდგენს მას.** სკოლას წარმოდგენილი აქვს **დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი.** შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ბუღალტერს. იგი მონაწილეობს ბიუჯეტირების პროცესში, ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას ასევე იღებენ მასწავლებლები (ბუღალტერს სიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას საჭიროებების შესახებ) და დირექტორი. ბუღალტერის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს (უმაღლესი განათლებით აგრონომია, შემდეგში აღებული აქვს ბუღალტრის სერტიფიკატი). მას აქვს სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება - ამ სკოლაში მუშობს 2000 წლიდან. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმა, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით ხორციელდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ელექტრონულ ბაზაში EPLANის ბაზაში ასახვა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ. ბაზრის კვლევა ხორციელდება ცალკეული შესყიდვების დროს. სკოლა ამტკიცებს შესყიდვების წლიურ გეგმას წინასწარ შემუშავებული წესისა და ფორმის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ #2-248 15.11. 2024წ.**

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

რჩევა: მიზანშეწონილია ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდულად სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის დირექტორის ბრძანება „შესყიდვების გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ #2-246 15.11.2024წ.
- შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის ბრძანება #2-13 31.01.2025წ.
- დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ #2-248 15.11. 2024წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი



არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებული არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. სკოლას დამრიგებლებისათვის შემუშავებული აქვს **სადამრიგებლო დებულება**, რომელიც დამტკიცებულია სკოლის **პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ოქმი N 5 2024 წლის 9 სექტემბერი**. დებულება ითვალისწინებს დამრიგებლის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპებს, სადამრიგებლო სასაუბრო თემებს, საქმისწარმოებას. **სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი**, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე **ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა**, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

სკოლამ წარმოადგინა კლასის დამრიგებლის პროგრამა, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეებთან სამუშაო მიმართულებები 2024-2025 ს/წ: მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, სამოქალაქო აქტივობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება. დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, რასაც ასახავენ მშობელთა კრების ოქმში. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე და თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული სკოლაში ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება **მშობელთა კრებებზეც**. დამრიგებლობის დებულებაში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება



მოსწავლეთათვის, რითაც დასტურდება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა ხდება დაუყოვნებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. **ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორის და მშობლის მიერ, მათ შორის ახალი მოსწავლის შემომატების შემთხვევაში. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე (კონტიგენტის 90% აზერბაიჯანულენოვანია) მასწავლებლებს უჭირთ ეფექტური კომუნიკაცია მშობელბთან ენის ბარიერის გამო და მათთან კომუნიკაციისათვის ესაჭიროებათ მედიატორები. აღნიშნული წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას მშობლებისათვის სასკოლო რეგულაციების შინაარსის გააზრებულად გაცნობის კუთხით.**

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5 2024 წლის 9 სექტემბერი - სადამრიგებლო დებულება.

- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
